დამტკიცებულია შპს საქართველოს უნივერსიტეტის რექტორის საბჭოს 2026 წლის 22 ივნისის N16/26 ოქმით

ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების წესი

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) მიერ სტუდენტთა ვერიფიკაციის მიზნით ბიომეტრიული მონაცემების (სახის გამოსახულების) დამუშავების წესებს, საქართველოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონისა და GDPR-ის პრინციპების შესაბამისად.

2. გამოყენებული ტერმინების განმარტება

ბიომეტრიული მონაცემი - ფიზიკური პირის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ ან ქცევით მახასიათებლებთან დაკავშირებული მონაცემები, რომლებიც იძლევა ამ პირის უნიკალური იდენტიფიცირების საშუალებას (მაგალითად, სახის გამოსახულება).

მონაცემთა დამუშავება - მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის ფოტოს გადაღება, შენახვა და შედარება ბაზაში არსებულ მონაცემებთან.

ვერიფიკაცია- სტუდენტის რეალური გამოსახულების ავტომატური შედარება უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზაში წინასწარ არსებულ ფოტოსურათთან.

მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი - რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელსაც აქვს სისტემაზე წვდომის უფლება.

3. მონაცემთა დამუშავების მიზანი, საფუძველი და აუცილებლობის დასაბუთება

3.1. ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება ხორციელდება შემდეგი მიზნებისთვის:

- აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა და სტუდენტის პიროვნების ავთენტიფიკაცია;
- საგამოცდო პროცესის უსაფრთხოებისა და მართლზომიერების უზრუნველყოფა.

3.2. დამუშავების სამართლებრივი საფუძველია მონაცემთა სუბიექტის (სტუდენტის) წერილობითი თანხმობა.

4. დამუშავების მეთოდი და ალტერნატიული საშუალება

4.1. საგამოცდო ცენტრის შესასვლელთან განთავსებული აპარატი ახდენს სახის სკანირებას და მის შედარებას ბაზაში არსებულ ფოტოსთან.

4.2. მუშავდება მხოლოდ იდენტიფიკაციისთვის აუცილებელი მინიმალური ინფორმაცია.

4.3. თუ სისტემა ვერ ახდენს იდენტიფიცირებას, გადამოწმება ხდება პერსონალის მიერ პირადობის მოწმობის საფუძველზე.

4.4. ალტერნატივის უფლება: სტუდენტის მიერ ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გამოცდაზე დასწრების უფლება არ შეიზღუდება. სტუდენტის იდენტიფიკაცია განხორციელდება ალტერნატიული მეთოდით - საგამოცდო ცენტრის პერსონალის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფიზიკური შემოწმებით.

5. მონაცემთა შენახვის ვადა, შენახვისა და განადგურების წესი

5.1. აპარატის მიერ იდენტიფიკაციის მიზნით გადაღებული ფოტო არ ინახება.

5.2. მონაცემთა განადგურება ხორციელდება ავტომატური წაშლის მექანიზმის გამოყენებით, რომელიც გამორიცხავს მონაცემების აღდგენის შესაძლებლობას. განადგურების ყოველი ფაქტი აღირიცხება სისტემის ჟურნალში.

5.3. სისტემაში წინასწარ ჩატვირთული სტუდენტთა ფოტოები ინახება სტუდენტის სტატუსის პერიოდში და უნივერსიტეტში სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 1 წლის ვადით, რის შემდეგაც ექვემდებარება განადგურებას

6. მონაცემთა უსაფრთხოება

6.1. უნივერსიტეტი იყენებს ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს მონაცემთა უკანონო წვდომისგან დასაცავად. მონაცემები დაცულია დაშიფვრის თანამედროვე მეთოდებით.

6.2. სისტემაზე წვდომა აქვთ მხოლოდ სასწავლო ოფისის წარმომადგენლებსა და IT სამსახურის თანამშრომელს. სისტემა ავტომატურად აღრიცხავს მონაცემთა ბაზაში შესვლის, ცვლილების ან წაშლის ყოველ მცდელობას (დრო და მომხმარებელი).

7. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

მონაცემთა სუბიექტი სარგებლობს "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 თავით გათვალისწინებული უფლებებით, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- **წვდომის უფლება** - მიიღოს ინფორმაცია, თუ რა მონაცემები მუშავდება, რა მიზნით, რა სამართლებრივი საფუძვლით და რა ვადით;
- **შესწორების უფლება** - მოითხოვოს არაზუსტი ან არასრული მონაცემების შესწორება;
- **წაშლის უფლება** - მოითხოვოს მონაცემების წაშლა, თუ დამუშავება აღარ არის საჭირო მიზნის მისაღწევად, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა;
- **დამუშავების შეზღუდვის უფლება** - მოითხოვოს დამუშავების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში;
- **უარის თქმის უფლება** - ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებაზე უნივერსიტეტის ელ. ფოსტაზე: info@ug.edu.ge შეტყობინების გაგზავნის გზით, ან ადგილზე საგამოცდო პროცესში პირის იდენტიფიცირებისას.
- **საჩივრის უფლება** - უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ან სასამართლოს.

8. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

უნივერსიტეტს ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი:

შპს „უსაფრთხო მონაცემთა გადაწყვეტილებები"

ელ-ფოსტა: anatavkhelidze@safedata.ge

9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე დამუშავებაზე ჩატარებულია მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება (DPIA), რაც ადასტურებს პროცესის შესაბამისობას კანონმდებლობასთან.

9.2. უნივერსიტეტი პერიოდულად გადახედავს უსაფრთხოების ზომებს ტექნოლოგიური განვითარების შესაბამისად.

დამტკიცებულია შპს საქართველოს უნივერსიტეტის რექტორის საბჭოს 2026 წლის 22 ივნისის N16/26 ოქმით

თანხმობის ფორმა ბიომეტრიული პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე

შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“

მე, ქვემორე ხელისმომწერი, წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ინფორმირებული ვარ ჩემი ბიომეტრიული პერსონალური მონაცემების (გამოსახულების, ფოტოსურათის) დამუშავების პირობების შესახებ, უნივერსიტეტის შიდა წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

1. დამუშავების მიზანი და მეთოდი

ჩემი ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება ხორციელდება საგამოცდო პროცესში ჩემი პიროვნების ვერიფიკაციის, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით. იდენტიფიკაცია ხდება საგამოცდო ცენტრის შესასვლელთან განთავსებული აპარატის მიერ ჩემი სახის გამოსახულების გადაღებით და მისი ავტომატური შედარებით სისტემაში ჩატვირთულ ფოტოსურათთან, რომელიც აღებულია უნივერსიტეტის ბაზიდან.

2. შენახვა და უსაფრთხოება

ინფორმირებული ვარ, რომ ვერიფიკაციის მომენტში გადაღებული ფოტო არ ინახება მუდმივად და იშლება პროცესის/სესიის დასრულებისთანავე. მონაცემები დაცულია დაშიფვრის მეთოდით და მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს.

3. ნებაყოფლობითობა და ალტერნატივა

ბიომეტრიული ვერიფიკაციის სისტემის გამოყენება არის ნებაყოფლობითი. ჩემთვის ცნობილია, რომ უარის თქმის შემთხვევაში არ შემეზღუდება გამოცდაზე დასწრების უფლება და ჩემი იდენტიფიკაცია განხორციელდება ალტერნატიული მეთოდით - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფიზიკური შემოწმებით.

4. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

ვადასტურებ, რომ ინფორმირებული ვარ “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 თავით გათვალისწინებული უფლებების შესახებ, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი უფლებებით:

- ნებისმიერ დროს გამოვითხოვო თანხმობა უნივერსიტეტის ელ. ფოსტაზე info@ug.edu.ge შეტყობინების გაგზავნით ან ადგილზე, ვერიფიკაციამდე;
- მოვითხოვო მონაცემთა გასწორება, განახლება ან წაშლა;
- უფლებების დარღვევის შემთხვევაში მივმართო სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ან სასამართლოს.

5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

ნებისმიერი კითხვის ან უფლებების რეალიზების მიზნით, შემიძლია დავუკავშირდე უნივერსიტეტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს:

- **ოფიცერი:** შპს „უსაფრთხო მონაცემთა გადაწყვეტილებები“
- **ელ-ფოსტა:** **anatavkhelidze@safedata.ge**

თანხმობის დასტური:

ვეთანხმები ჩემი ბიომეტრიული მონაცემების (სახის გამოსახულების, ფოტოსურათის) დამუშავებას ზემოაღნიშნული მიზნითა და პირობებით.

სტუდენტის სახელი და გვარი:
_____

პირადი ნომერი:_____

თარიღი:_____

ხელმოწერა:_____